

ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად სს "თიბისი ბანკი" გათვალისწინებით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 22-ე მუხლი:

"22. ურთიერთობის დაფარვა ვალდებულებით"

- 22.1 საბანკო კრედიტის, სესხის, ოვერდრაფტის, საკრედიტო ლიმიტის და კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკრედიტო პროდუქტის (შემდგომში "კრედიტის") დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვალდებულება ადრე განხორციელება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) შესაძლებელია მხოლოდ სავარაუდო გადახდის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტის/მსესხებლის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების ბანკისთვის წარდგენისა და ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.
- 22.2 კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკი ცალმხრივად შეცვლის კრედიტის დაფარვის გრაფიკს (შეადგენს ახალ გრაფიკს) და მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკის მიხედვით.
- 22.3 კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.
- 22.4 ბანკს უფლება ექნება კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა.
- 22.5 ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო უკავშირის ან/და სხვა პირის) მიერ გაცემული თანხით სს "თიბისი ბანკისგან" მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვალდებულებად ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.
- 22.6 მხარეები თანხმდებიან, რომ:
- 22.6.1 ბანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირაგსამტეხლოს დაკისრების შესახებ;
- 22.6.2 ბანკის მიერ კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირაგსამტეხლოს დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი საკომისიო ან/და პირაგსამტეხლო კლიენტის/მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (სხვადასხვა ვალუტაში თანხის ჩამოწერის შემთხვევაში უკვივალენტო განისაზღვრება სს "თიბისი ბანკის" მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით);
- 22.6.3 საკომისიოსა და პირაგსამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის, ბანკის ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ინფორმაციის ან/და ბანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის მიხედვით;
- 22.6.4 რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების გვიანეს უნდა დასტურდეს კლიენტს/მსესხებელს;
- 22.6.5 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი/მსესხებელი სასამართლოსთვის მიმართვის გზით დაამტკიცებს რეფინანსირების არარსებობის ფაქტს, ბანკი ვალდებული იქნება, დაუბრუნოს მას მხოლოდ უაქცეპტო წესით ჩამოწერილი საკომისიო ან/და პირაგსამტეხლო, ხოლო კლიენტი/მსესხებელი უარს აცხადებს ბანკის ქმედებით (ბანკის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაყისრი ვალდებულებების დარღვევით) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე."